

საგრიელი

საერთოული გაზეთი ოთხშაბათი 27 აპრილი 2008 №197 (3421)

ფასი 50 თეთრი

თქვენ განსაკრეთ! საერთოული ოქრობა ჩინება

საერთოული
საერთოული
საერთოული
საერთოული



კარგსრუა: ჩვენი ქალაქი ევროპაში
კუპარმა სანაკრებო სია ჩამოწერა,
ფედარაციამ კი ადგილი დათქვა

ირაკლი ცირეციძე და
მანუჩარ კვიციანი




მანუჩარ კვიციანი და ირაკლი ცირეციძე

რევაზ მინდორაშვილი აერობორტიდან
ხელში აყვანილი გამოიყვანეს



გადამრეცხველი კომპიუტერის ფოტო

გივი ბერიძის
ყველაზე ცნობილი
კოლაგელობაში
მოცილე გამოუჩნდა



მანუჩარ კვიციანი და ირაკლი ცირეციძე



გადამრეცხველი კომპიუტერის ფოტო

ქართულ ელფები

ამ მიმართ დღეებში ისე არააინ ამსუბუქება ქართველი კაცის ყოფას, როგორც ქართველი ოლიმპიელები, ქართველი ვაჟაკები და ქალბატონები და ჩვენ გვემართება მათი.

სისხლით, ცრემლით და ტკივილით გაჯერებულ საქართველოში ბედნიერების წუთები მაშინ ღვებოდა, როდესაც ათიათასობით კილომეტრის დაშორებით პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე სამშობლოს დარდით დაძვინჯებული გულებით, მაგრამ მაინც მთელი ჯივრით ჩვენი ოლიმპიელები თავდადებებს არ იშურებდნენ, რომ სამშობლოში დარჩენილი თანამემამულეებისთვის სიხარული მიეცინათ...

ჩვენი დელეგაცია თბილისში გუშინწინ 20 საათზე უნდა ჩამოფრენილიყო, თუმცა პეკინის აერობორტის გადატვირთვის გამო ქართველები სამშობლოში გუშინ ნამუდღევს დაბრუნდნენ.

თბილისის აერობორტში, ჯერ კიდევ თვითფრინავის დაფრენამდე, ასობით ადამიანმა მოიყარა თავი. ოლიმპიელების ოჯახის წევ-

რები, ნათესავები, მეგობრები, უბრალოდ, გულშემატკივრები, რომელთაც ახლახან საერთო გამარჯვებით გაიხარეს!

აერობორტში შესვლისთანავე გივი ბერიძის მოვარით თვალი და გმოველაპარაკეთ. შეგახსენებთ, რევაზ მინდორაშვილი, გურჯაანელი, კოლაგელი ბიჭი, სწორედ მისი თანასოფელია.

— ყველაზე ცნობილი კოლაგელი აქამდე თქვენ იყავით, ახლა კი რევაზ მინდორაშვილმა გაჯობათ...

— ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა, ხომ გაგიგიათ. რაც მეტი იქნება ასეთი ბიჭები, მით უკეთესი საქართველოსთვის. ძალიან გაგვახარა, მაგარი ბიჭია.

— კოლაგში ხომ არ უყურებთ მინდორაშვილის ფინალურ ორთაბრძოლას?

— არა. თბილისში ვიყავი. ვერ მოვახერხე ჩასვლა. ემოციის მოთოკვას ვერ ვახერხებდი, უზომოდ გავიხარე, ყველას გილოცავთ ამ გამარჯვებას!

მალევე აერობორტში თვითფრინავი დაე-

შვა და რამდენიმე წუთიანი ლოდინის შემდეგ დელეგაციის წევრებიც გამოჩნდნენ.

აბა, მაშინ უნდა გენახათ სიხარული და ამდენი ხნის დაგროვილი ემოცია.

გენაცვალეთ ბიჭებო! ნადვილი გმირები ხართ! მთელი საქართველო ამყობს თქვენით! ასეთებს გუშინ თბილისის აერობორტში ბევრს მოისმენდით — ოლიმპიურ ჩემპიონებზე ხომ ტაცობა გაიმართა. ახლობლები, გულშემატკივრები თუ ჟურნალისტები ჩვენი გმირების მოხელთებას ცდილობდნენ, ვის მონატრებული ადამიანის ნახვა სურდა, ვის ჩემპიონობის მილოცვა, ვის სურათის გადაღება...

მანუჩარ მარკიშვილია, „საქართველოდან ისეთი ამბები ჩამოდიოდა, ძალიან რთული იყო ფსიქოლოგიურად განწყობა. მეორე მხრივ უფრო დიდი სტიმული მომეცა, რომ ჩემპიონი გავმდარიყავი. ვიცოდი, ეს ქართველი ხალხს ცოტა მაინც შეუძლებელია და ტკივილს და ბედნიერი კარი ვარ, ეს რომ მოვახერხე.“

გიორგი გოგუშვილი: „ვიცოდი, რომ ნახე-

ვარფინალში ყაზახ მოჭიდავესთან რთული დაპირისპირება მელოდა. მასთან აქამდეც მიჭიდავია და პროვოკაციული თვისებებით გამოირჩევა. როდესაც ხელი გავარტყი, ყველაფერი ინსტიქტურად მოხდა. თითი პირდაპირ თვალში მატაკა. ვგრძნობდი, რომ ცუდად ვიქცეოდი, მაგრამ ტკივილის ინსტიქტებმა ავტომატურად ეს გამაკეთებინა. თავი ვერ შევიკავე.“

ოთარ თუშიშვილი: „ნახევარფინალში თურქთან პატარა ნიუნსმა გადაწყვიტა ყველაფერი. ასეთი რაღაცეები ჭიდაობაში ხდება. თან მეორე პერიოდში ერთი მომენტი ცოტა მოვლუნდი და... ისიც ვიცოდი, რომ გორში და მთლიანად საქართველოში ცული ამბები ხდებოდა. ვგრძნობდი, რომ ჩემები რაღაცას მიმაღლებდნენ და ბოლომდე ყველაფერს არ მეუბნებოდნენ. ამ მოვლენებმა დამატებითი სტიმულიც მომეცა. მიხარია, რომ მედალი ავიღე.“

ბევი დარჩია: კმაყოფილი ვარ. მანუჩარ კვიციანი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მაგრამ მეტს ვეგებავდი და, სამწუხაროდ,



კიდევაც
დაიბრუნებინ...

გადრი კათოლიკის ფოტო



გიორგი გოგშელიძის
თვალი და ყაზახი
მოჭიდავის უნამუსობა
სალაპარაგო კიდევ
დიღხანს იქნება

გადრი კათოლიკის ფოტო



აერობორტში ჩვენს ოლიმპიელთა
ერთი დამზედურს მანქანაზე ასეთი
სტიკერი ჰქონდა მიერული

დაპრუნდნენ

არ გამოვიდა. ამის გამო გული მწყდება.

დავით ნამგალაური: „ოლიმპიადა საოცარი სანახავი იყო, მაგრამ, რაც საქართველოში ზღბოდა, ეს საერთო განწყობას ამძიმებდა. იმ პირობებში და სტრესში, როგორშიც სპორტსმენები იყვნენ, მართლა გმირობის ტოლფასი იყო ეს გამარჯვება.“

ერთ რამეზე თავიდანვე შევთანხმდეთ, პეკინში მარტო სპორტული თვალსაზრისით არ იქნებოდა ჩემპიონობა მნიშვნელოვანი. ეს ყველაფერი იმ ბიჭებს მიეძღვნებოდათ, ვინც იმ მომენტში საქართველოსთვის თავს სწირავდა და პოზიციებზე იდგა.

ვოგი თოფაძე, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი: „რა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშიც იყვნენ ჩვენი სპორტსმენები, მოპოვებული მედლების რაოდენობით და ხარისხით კმაყოფილები ვართ, მაგრამ როგორ არ უნდა დამწყდეს გული, როდესაც ორი უეჭველი მედალი დავკარგეთ. დღევანდელი სამი გორელი მოჭიდავე გვყავდა და მათი სული და გული იქ იყო... გადაწყ-

ვეტილი გვქონდა, რომ ოლიმპიადა უნდა დაგვეტოვებინა. შუალამემდე ასე ვიცოდით, მერე კი საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით სააკაშვილის თხოვნით დავრჩით და დილისკენ ბიჭებმა ვეღარ მოახერხეს ტურნირისთვის კონცენტრირება... დამიჯერეთ ახლა ჩვენ ყველანი ფიზიკურადაც და მორალურადაც გამოფიტულები ვართ, ცოტას დავისვენებთ და ვრცლად და კონკრეტულად ზეულ ვილაპარაკოთ.“

ლევან ახელედიანი, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი: „ჩემს და თვითონ ფრენბურთელების გარდა, ალბათ არავის სჯეროდა, რომ ჩვენი ფრენბურთელები ამხელა წარმატებას მიაღწევდნენ. ორივე წყვილი საქართველო და გეორგია ისევე ჩვენი სახელით და დროშის ქვეშ ითამაშებენ და დიდი სურვილი აქვთ, ლონდონის ოლიმპიადაზე უფრო მეტს მიაღწიონ. თავიანთი ქცევით, სიტყვა-პასუხით და საქმისადმი მიდგომით მათ დაამტკიცეს, რომ სულით და გულით საქართველოსთვის ითამაშებენ. მე კი გადავწყვიტე, რომ საქართვე-

ლოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტობის კანდიდატი ვაგხვებ, დანარჩენზე მერე ვისაუბროთ.“

გია ნაცვლიშვილი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი: „ძიუდოში უკეთეს შედეგს ველოდი, მაგრამ ასე რომ არ მოხდა ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. იცით, რომ ჩვენს დედეგაციას ოლიმპიადის პროტესტის ნიშნად დატოვება სურდა, მერე კი ბოლო მომენტში გაირკვია, რომ ვრჩებოდით... ზოგ ძიუდოისტს წონის პრობლემა შეექმნა, ფაქტობრივად, სამ-ოთხ საათში უნდა დავკლოთ წონა. ამას დიდი ენერჯია დაახარჯეს. მეორედ დღეს საჭიდაოდ ძალია აღარ ეყოთ. ამით მედალი დავკარგეთ.“

კახა გენაძე, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი: „ძალიან რთული იყო ჩვენს სპორტსმენებს კონცენტრირება მთლიანად ოლიმპიადაზე მოხდინათ. ყველა იმაზე ნერვიულობდა, როგორ იყვნენ აქ დარჩენილი მათი ოჯახის წევრები და ახლობლები. ჩვენმა სპორტსმენებმა გმირობა ჩაი-

დინეს, თავს აჯობეს. ურთულეს ვითარებაში მოიპოვეს მედლები. ოლიმპიურ სოფელში რუსეთის დედეგაციის მეზობლად ვცხოვრობდით. რამდენიმე რუსი სპორტსმენი მოვიდა ჩვენთან და რაც შეეძლებოდა გულწრფელად მოგვიბოდიშეს და აღშფოთება გამოთქვეს თავიანთი ქვეყნის საქციელის გამო.“

ერთი იმთავანი, ვისაც უიღბლობამ უკეთესი შედეგის ჩვენების საშუალება არ მისცა, ჩვენი მშვილდოსანი ხათუნა ნარიმანიძეც იყო. იმ ამბებს დაწვრილებით აღარ მოვყვებით და მხოლოდ მოკლედ შევასვენებთ: შეჯიბრი უფრო სამართლიანი ფორმატით რომ ჩატარებულიყო, ნარიმანიძე ოთხეულს ალბათ იმსახურებდა.

ხათუნა ნარიმანიძე: „დაიხ, მეოთხე შედეგი მქონდა და რვა საუკეთესოს შორის ვერ მოხვდი. ის ბოლო სროლა არ გამომივიდა. მეტოქეს გაუმართლა? იცით, მე სპორტსმენი ვარ და მეტოქეზე არასოდეს ვიტყვი, გაუმართლა და ისე მომივიღო.“

ნიკა კოპაძე

ბევრი კითხვა: საქართველო კუპერის პასუხი უელსში კარგად გვითავაზია

მტკობა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობა ბოლომდე კმაყოფილი დარჩა უელსთან ამხანაგური მატჩით, რადგან იმ შემადგენლობიდან მხოლოდ ერთი კაცი, დავით დევდარიანი დაწვინებული — ვველა დანარჩენი 6 სექტემბერს ირლანდიასთან და 10-ში იტალიასთან სათამაშო სიაში მოხვდა.

უელსურ სიას კიდევ ცხრა ფეხბურთელი მიემატა: სირაძე, სალუქვაძე, ღვინიაძე, კალაძე, ელიავა, შაშიაშვილი, კობიაშვილი, გოგუა, კვიციანი. აქედან რუსეთში მოთამაშე ლევიონიძე, პლუს, შაშიაშვილი და კობიაშვილი უვიზობის გამო ვერ მოახერხეს სუონსში ჩასვლა.

შემადგენლობის დასახელება იოლია, მაგრამ მოდით, განვსაჯოთ, რამდენად ოპტიმალურია ეს სია სადღეისოდ...

ერთი რამ ცხადია, ექტორ რაულ კუპერმა, მგონი, არ იცის, რომ ალექსანდრე იაშვილი რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია; რომ დიმიტრი ტატანაშვილი ნორმალური ჩეხური კლუბის ძირითადი შემადგენლობის თავდამსხმელია და ნაკრებშიც გამოიყენა შანსი, როცა მისცეს; რომ ზაალ ელიავა კარგა ხნის უთამაშებელია და ზუსტად მის პოზიციაზე ნუკრი მანჩხავა, ილია კანდელაკი, გიორგი ნავალო-



ექტორ კუპერი

ვსკი და გიორგი ფოფხაძე თავიანთ კლუბებში რეგულარულად თამაშობენ, თან საკმაოდ კარგად; რომ გამოძახებულ სამ მცარეს შორის მხოლოდ რომინ კვასხვაძე თამაშობს კლუბში...

დაბოლოს, მართლაც არიან ის სპეციალისტები, რომლებიც ამბობენ, საქართველოს ნაკრების ოპტიმალური ბირთვი ჯერაც დასაყენებელია და ეს ციკლი, უმეტესწილად, ამას უნდა მოვახმაროთ — გვიანია, მაგრამ, რას იზამ, ნაკრებში



საუელსო შემადგენლობიდან ნაკრებში მხოლოდ დავით დევდარიანი (მარჯვნივ) ვერ მოხვდა

საუკეთესო იქნა თამაშობდნენ კლუბში უთამაშებლობა ელიავა-მარკიძეს კი არა, ზოგჯერ დიეგო მარადონასაც კი ეტყობოდა ხოლმე...

დავიჯეროთ, კუპერმა ვერ დაინახა, რომ უელსის წინააღმდეგ საწინააღმდეგო მომწიფებული მცარე არ ედგა კარში? კი, ბატონო, მოგება მოგებაა, განსაკუთრებით იმ დღეს, მთავარი შედეგი იყო. მაგრამ ხომ დღესავით ნათელია, რომ საქართველოს ნაკრებმა გამართული ფეხბურთი ვერ ითამაშა... დავიჯეროთ,

უელსთან ისე ამღერეს ბურთი ჩვენებმა, რომ უკმაყოფილების გრძობა არ უნდა გაგჩნდოდა კაცს? და თუ გაუჩნდათ, რატომ არის იმ 19-კაციანი სიდიდან 18 ისევ ნაკრებში?

ერთის გაგება კიდევ შეგვიძლია: კუპერმა უკვე გაიცნო ეს 18 კაცი და იმიტომ დავერდნო ისევ მათ, მაგრამ როცა ვიცით, რომ სხვებიც გვყავს, რატომ ვამბობთ უარს?

კუპერს უნდა აცნობონ სხვა ფეხბურთელებზე!

ილია ნანობაშვილი

საქართველოს ნაკრებში გამოკვლეული ირლანდიასთან და იტალიასთან მატჩებისთვის

მეპარკები: გიორგი ლორია (დინამო), რომინ კვასხვაძე (ზესტაფონი), გიორგი მარკიძე (დინამო)

მცველები: უჩა ლობჯანიძე (ზესტაფონი), კახა კალაძე (მინორი, იტალია), მალხაზ ასათიანი (ლოკომოტივი, რუსეთი), ზაალ ელიავა (დინამო), მათე დევიანიძე (ბიუნენ 1861, გერმანია), გიორგი შაშიაშვილი (შტურმი, ავსტრია), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი), ალექსანდრე კვასხაძე (ვიტ ჯორჯია), ზურაბ ზიზანიშვილი (ბლეკბერნი, ინგლისი)

ნახევარმცველები: ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), ლევან ხმალაძე, დავით ილიაძე (დინამო), ირაკლი კლიმაშვილი (ვიტ ჯორჯია), დავით კვიციანი (რუბინი, რუსეთი), ლევან ყენია, ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), დავით მუჯირი (ლოკომოტივი, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი)

თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი (კარლსრუე, გერმანია), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), დავით სირაძე (ნალჩიკი, რუსეთი), ბექა გოცირიძე (ზესტაფონი), რატი ალექსიძე (ლოკომოტივი)

საქართველო ირლანდიას კარლსრუეში უმასპინძლებს

გერმანიის ქალაქი კარლსრუე, სტადიონი „ვილდპარკსტადიონი“-6 სექტემბერს სალამოს იქ ორი ქვეყნის ჰიმნი აქტურდება,

ოლონდ გერმანიის არცერთ არ იქნება: გუშინ გადაწყდა, რომ საქართველო - ირლანდია სწორედ კარლსრუეში გაიმართება.



საქართველოს ნაკრების ახალი „სამინიო“ ბრენა
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ეს ალტერნატიული ვარიანტი იქნებოდა და შეიძლებოდა, თამაში თბილისში გამართულიყო. თუმცა ფიფაში ამ საკითხზეც იმსჯელეს და თბილისი გამოირიცხა. რით არის მიმზიდველი კარლსრუეს ვარიანტი საქართველოს ნაკ-

რებისთვის? ერთი, რომ უდინესთან (სადაც იტალია — საქართველო 10 სექტემბერს) შედარებით ახლო-საა და მეორეც, გერმანიაში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს. ეგებ, შესაძლებელია, თუ „კარლსრუეს“ გულშემატკივრებიც გულგრილი არ იქნებიან, ეგებ, თავიანთი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის

ალექსანდრე იაშვილის საქომადოდ მივიდნენ სტადიონზე.

კარლსრუე ბადენ-ვიუმტერბერგის მხარეშია, ანუ გერმანიის სამხრეთში, საიდანაც უდინემდე ცოტა მანძილია. ქალაქი პატარა და კონტაა, დაახლოებით 300 ათასი კაცი ცხოვრობს.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების განრიგს: ექტორ რაულ კუპერი და მისი შევირდები 1 სექტემბერს ჩავლენ კარლსრუეში და იქ მოემზადებიან, ნამატჩევს კი უდინეში წავლენ და საიტალიოდ იქ გააგრძელებენ ვარჯიშს.

საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს კი 5 სექტემბერს რუსეთთან რომ აქვს სათამაშო, გეცოდინებათ. ქართულმა მხარემ უეფას აცნობა, რომ ამ შეხვედრის რუსეთის ტერიტორიაზე ჩატარება მიზანშეწონილი არ არის, რაც, წესით, უეფამ უნდა გაითვალისწინოს. საქმე იქითკენ მიდის, რომ რუსეთ-საქართველოს 21-წლამდელები ნეიტრალურ ქვეყანაში ითამაშებენ — ოფიციალურად ეს არაა გაცხადებული, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით უეფა დღე-ხვალ დაადასტურებს...

ილია ნანობაშვილი



ხვალ ვიტალებს ბრძოლა

ბუზინ გამთენიისას „ვიტ ჯორჯია“ ვენაში რომ გაფრინდა, გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით.

ვიტელებმა მშვიდობიანად იმეზავრეს და ავსტრიის დედაქალაქშივე ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „არნიაში“ დაბინავდნენ. გუშინ ნესტორ მუმლაძემ შევირდები „მატიას სინდლარზე“ ავარჯიშა, სადაც 28 ავსტრიის უეფას თასის მატჩს გამართავს „აუსტრიასთან“. ეს სტადიონი 11800 მაყურებელს იტევს და სავარაუდოდ, ანშლაგი იქნება. ისიც ითქვას, ავსტრიაში მცხოვრები ქართველებიც აპირებენ მისვლას.

შეგახსენებთ, რომ საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო უეფამ უპრეცედენტოდ გადაწყვეტილება მიიღო და ერთმატჩიანი დაპირისპირება გაარკვევს შემდეგ ეტაპზე გამსვლელის ვინაობას. თუ ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, დამატებითი ტაიმები იქნება და თუ ამან ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მაშინ საქმე პენალტების სერიაზე მივა.

„ვიტ ჯორჯიამ“ გუშინვე ივარჯიშა „აუსტრიას“ ბაზაზე, რომელიც სტადიონის გვერდითაა და იქ ხუთი სხვადასხვა ზომის მოედანია. ვარჯიშის დასრულების შემდეგ კი ვიტელთა მთავარ მწვრთნელს ნესტორ მუმლაძეს ვესაუბრეთ: „კარგად ვიმეზავრეთ და ავსტრიელებმა კარგი პირობებიც დაგვავსვედრეს. ვარჯიშმა ნორმალურად ჩაიარა. ოთხმაბათს ვენის დროით საღამოს რვის ნახევარზე ცენტრალურ მოედანზე ვივარჯიშებთ.“

ნუკრი ლოლაძე



ჩემპიონატზე ორ ლარად პირველი ნრა საქველმოქმედოა

ბუზინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ოფისში პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა პრესკონფერენცია მოაწყო. მოგესხენებათ, გუშინწინ პროფლიგის გამგეობამ საქართველოს თასის მერვედფინალის ჩატარების თარიღებიც გამოაცხადა და ისიც, როდის დაიწყება ეროვნული ჩემპიონატის ახალი სეზონი. გუშინ რამიშვილმა ამ და სხვა საკითხებზე ილაპარაკა.

„ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ, ბუნებრივია, შეგვაფერხა და ჩემპიონატის დაწყებაც გაჭიანურდა და თასის მატჩებიც გადავდეთ.“

რა თქმა უნდა, ჩემპიონატის ცხრილში ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო და საშუალებები კომიტეტმა საკმაოდ ნაყოფიერად იმუშავა. თასის მატჩები 30, 31 ავგოსტოს და 1 სექტემბერს ჩატარდება. ყველამ კარგად ვიცით, რუსი ოკუპანტები როგორც მოქმედებენ.

ყველა ქალაქში, სადაც თასის მატჩები უნდა ჩატარდეს, სტადიონებს უსაფრთხოების სპეციალური კომისია შეამოწმებს. ჩვენც აქტიურად ვთანამშრომლობთ სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა უსაფრთხოება მაქსიმალურად იყოს დაცული.

სამწუხაროდ, ომმა ბევრი ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე შეიწირა და უამრავი ადამიანი დარჩა უსახლკაროდ. გამგეობის გუშინდელ სხდომაზე ქართული წამყვანი კლუბების ხელმძღვანელებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი განვიხილეთ და თითოეული მათგანისგან დადებითი პასუხი მივიღეთ. საქმე ის არის, რომ ვესურს, დაზარალებულებს დავეხმაროთ. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის, ასევე თასის გათამაშების მატჩებზე გაყიდული ბილეთების თანხა მთლიანად დაზარალებულთა ოჯახებს მიზმარდება. ეს აქცია მთელი პირვე-

ლი წრე გაგრძელდება. ამით სრულიად ქართული საფეხბურთო საზოგადოება ერთიანდება. დაზარალებულთა დასახმარებლად თითოეულ გულშემატკივარს ეძლევა ქველმოქმედების საშუალება. მატჩზე ბილეთის მინიმალური ღირებულება 2 ლარი იქნება.

ეროვნული ჩემპიონატი 13 სექტემბერს დაიწყება და 12 ნოემბერს შესვენება გამოცხადდება. ჩემპიონატი, როგორც დაგეგმილი გვქონდა, სამ წრედ ჩატარდება. უმაღლეს ლიგაში 11 გუნდი ითამაშებს. სამი დაქვეითდება, პირველი ლიგიდან კი აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების გამარჯვებულები გადმოვლენ.

უმაღლესი ლიგის მომსახურე მსაჯებს 30 პროცენტით გაეზრდებათ ანაზღაურება და მომავალში ვმცდებით, გავუორმაგოთ. 2009 წლიდან პირველი ლიგის მომსახურე მსაჯებსაც 30 პროცენტით გაეზრდით ანაზღაურებას.

მედიაკომპანია „კოლხიდა“ ჩვეულებრივად გააგრძელებს ეროვნული ჩემპიონატის გაშუქებას. საზოგადოებრივ მაუწყებელზე იქნება პირდაპირი რეპორტაჟები და ორშაბათის ტრადიციული ტურის მიმოხილვა“.

ნუკრი ლოლაძე

სსოპნის პატივში გმირ ქალაქში

ბუზინ გორში „თენგიზ ბურჯანაძეზე“ მატჩში გაიმართა, რომელიც ომში დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნას მიეძღვნა. შეხვედრაში სამმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. პირველ ნახევარში თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები ცხინვალის „სპარტაკს“ გაეჯობნენ და ეს ტაიმი 3:3 დასრულდა.

„სპარტაკმა“ ორბურთიანი უპირატესობა სწრაფად მოიპოვა, ჯერ ნუკრი გოგონიამ გაიტანა, მერე კი ირაკლი სირბილაძემ იხეირა, თუმცა ვეტერანებმა მალევე შეძლეს ერთის გაქვითვა — ეს ალექსანდრე ჩივაძემ გააკეთა. თენგიზ სულაქელიძეს პასით კი ანგარიში ოთარ კორღალაძემ გაათანაბრა.

„სპარტაკმა“ ისევ ისევ დაწინაურდა კობა შალამბერიძის გოლით, მაგრამ დინამოელებმა კორღალიძის პენალტი კვლავ გაათანაბრეს.

მეორე ნახევარში ვეტერან დინამოელებს პირველიველი „თბილისი“ ჩაენაცვლა, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე გორელმა ფეხბურთელმა ითამაშა. მეორე ტაიმში ერთადერთი გოლი თბილისე-

ლმა ფაილოძემ გაიტანა და საბოლოოდ მატჩი 4:3 დასრულდა.

მატჩში მონაწილეობა ამ ფეხბურთელებმა მიიღეს:

ვეტერანები: ვახტანგ აბუსერიძე, ზინანიშვილი, სულაქელიძე, ჩივაძე, ჩიქოვანი, კობალეიშვილი, კეტაშვილი, სენაძე, მუჯირი, მ. მანიძე, ფირცხალავა, ცაავა, ბარათაშვილი, მჭედლიშვილი, მელიქია, კორღალაძე.

მწვრთნელი: ვაჟა ყვანია

სპარტაკი: ქვიციანიძე, მამუკაშვილი, ნადირაშვილი, ხაჭაძე-რამე, დათუნაშვილი, შალამბერიძე, ტყეშელაშვილი, ჯანგიძე, გოგონია, ზიდუშვილი, სირბილაძე, მლონდაძე, ვ. იაშვილი, ვ. ქორიძე, ბაგაშვილი, მანგილაძე.

მწვრთნელი: კობა ჭორეჯიკაშვილი

თბილისი: კეჩუაშვილი, სორდია, შარანგია, მაყაშვილი, თარგამაძე, ჩერქეზიშვილი, ფაილოძე, სადალაშვილი, იჩქაიძე, ვ. წინამძღვრიშვილი, დანანიძე, პაპიტაშვილი

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი
ტარიელ ფოთენიაშვილი
გორიდან



საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ბთავაზობთ
ფასდაკლებას საქართველოს საუბრებზე

10% - დან 30% - მდე

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ „საქართველოს ტელეკომში“
 ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქალაქის ტელეფონი)
 მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისთვის:
 დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
 ან
 მოგზაუნდითი „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია ფასდაკლებით სარგებლობა უნდა იყოს უფასო

გეგმოდ **8-10**-ით

www.telecom.ge



რა უსურავს მას მასპინძელი ზეპირადად?

მილანის „ინტერმა“ იტალიის სუპერთასზე „რომას“ წინააღმდეგ კარგად ითამაშა და პენალტების სერიაში მოიგო კიდევ თუმცა „ნერა-ტურის“ მწვერთელი ჟოზე მურინი იხევე თვლის, რომ გუნდს გარემარბით გაძლიერება სჭირდება.

„კარგი იქნებოდა, გუნდის საბოლოოდ დაბალანსებისთვის, გარემარბს თუ დავიმატებდით. მით უმეტეს, რომ ძირითადად, სამი შემტევი ფეხბურთელი ვაპირებთ თამაშს“ — აღნიშნა „განსაკუთრებულმა“.

პორტუგალიელი სპეციალისტის ამ კომენტარის მერე ყველა კვლავ მის თანამემამულეზე — რიკარდუ კვარეშმაზე ალაპარაკდა, რომელსაც დიდი ხანია, „ნერაპურის“ უკავშირებენ. მილანელთა აზრით, „პორტუ“ კვარეშმაში ძალიან დიდ ფულს ითხოვს. თუმცა ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე დღე რჩება და შესაძლოა, რომელიმე მხარე დათმობაზე წავიდეს.

მურინი კი საინტერესო კომენტარი თავის ყოფილ შეგირდ ანდრეი შეჩენკოზეც გააკეთა, რომელმაც ახლახან „ჩელსი“ დატოვა და „მილანში“ დაბრუნდა.

„მთავარია, რომ ის ბენდინერია და ეს მახარებს. „ჩელსიში“ ასე არ ყოფილა, არც ჩემი და არც სხვა მწვერთელების დროს. მისი დარი ფეხბურთელისთვის დაბრუნება დიდი მოტივაცია იქნება. ვერ ვიტყვი, რომ მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ, რადგან „მილანი“ „ინტერის“ კონკურენცია, მაგრამ, ასე ვთქვათ, ვუსურვებ, უფროს თასის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს“ — თქვა „მაუშ“.

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი და გუნდის ლიდერი ზლატან იბრაჰიმოვიჩი ძალიან გახარებულნი და კმაყოფილნი არიან მურინიუს კარგი მუშაობითა და „რომასთან“ მოგებით.

„გუნდს უკვე ეტყობა მურინიუს ხელი, ალბათ თქვენც ამჩნევთ. ეს ბრწყინვალე „ინტერია“. განსაკუთრებულად კარგად პირველი ტაიმი ჩავატარეთ და ძალიან ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ. დრამატული კოჩი განდევალა



და სანახაობრივი მატჩი გამოვიდა. მისარია, რომ ჩვენი ქომაგების თვალწინ მივალწიეთ წარმატებას“ — თქვა მორატი.

ზლატან იბრაჰიმოვიჩი: „მართლაც ძალიან გახარებული ვარ, სეზონს უკეთ ვერ დავიწყებდით. მოსამზადებელი პერიოდისას თავდაუზოგავმა შრომამ პირველი შედეგი უკვე გამოიღო. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა საკუთარი თამაშით ვისამოხუნეთ. მატჩი მთლიანობაშიც ბრწყინვალე გამოვიდა. რაც შეეხება მუხლს, ნაკლებად მტკიავ, ყველაფერი კარგად მიდის“

კოჩი განდევალა

კაპელი და კულტურა მაკლარენის გაფრთხილება ნამდვილი სიბიჟე იყო

ერთ-ერთმა წამყვანმა ინგლისელმა სპორტულმა ჟურნალისტმა პატრიკ ბარკლიმ გასაოცარი რამ თქვა: სტივ მაკლარენის ნაკრების სათავედან გაშვება და მის ადგილზე ფაბიო კაპელოს მოყვანა ნამდვილი სიბიჟე იყო.

შეგახსენებთ, რომ სტივ მაკლარენს ინგლისის ნაკრების მწვერთ-



სტივ მაკლარენი


ნელის თანამდებობაზე 16 საშინელი თვე ჰქონდა, რაც საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ მისი ხელმძღვანელობით გუნდი ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზეც კი ვერ მოხვდა. „მიდლსბროს“ ყოფილი თავკაცი ერთხმად აღიარებს ინგლისის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცუდ მწვერთელად, მისი შემცველი ფაბიო კაპელი კი უტიტულოვანესი აღმადგინა, რომლის მონაგარშიც შედის იტალიის ჩემპიონის შვიდი და ესპანეთის ჩემპიონი ორი ტიტული, ჩემპიონთა ლიგა და სხვა უამრავი, შედარებით წვრილი, რომელთა ჩამოთვლას აღარ შევეუდგებით.

თუმცა, კაპელოს მოღვაწეობას ინგლისის ნაკრებში ჯერჯერობით წარმატებულს ვერ ვუწოდებთ. იტალიელ სპეციალისტს განსაკუთრებული კრიტიკა რამდენიმე დღის წინ ჩეხებთან ამხანაგურ მატჩში ნათამაშები 2:2-ის გამო შეხვდა.

„ეს კაპელოს გუნდის კატასტროფული თამაში იყო — დაწერა ჟურნალისტმა „სანი ტელეგრაფში“, — ინგლისის ასეთი უბადრუკი ნაკრები არასდროს მინახავს. არასდროს მინახავს ინგლისის ნაკრების კარისკენ კონტრშეტევა ასეთი ადვილი განსახორციელებელი ყოფილიყო. მოედანზე სრული არეულობა სუფევდა და ეს კაპელოს პრობლემაა, რადგან მას ინგლისური საფეხბურთო კალტურისა არაფერი ესმის. იგივე პრობლემის წინაშე იდგა სვენ-გორან ერიკსონიც, მაკლარენის

გაშვება და კაპელოს მოყვანა ნამდვილი სიბიჟე იყო. მაკლარენის ხელში ჩვენი ნაკრები შინ 3:0-ებს იგებდა. იმას არ ვამბობ, რომ მაკლარენი ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ ფაქტია, რომ მან ჰიდინკი ორი თამაშის ჯამში 4:2 დაამარცხა“.

ბაბუნა კელი



ფაბიო კაპელი

არსენ ვენბერი

ახალფეულს გამოირცხავს

ლონდონის „არსენალის“ დამრიგებელმა არსენ ვენბერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არ აპირებს ახალი შენაძენების გაკეთებას. ის არც გარეთ ბერით და ხაბი ალონსოთა დაინტერესებული.

„ამ ეტაპზე მოლაპარაკებას არ ვაწარმოებთ“ — ბრძანა ფრანკმა სპეციალისტმა. შეგახსენებთ, რომ „მეთოფეგს“ ამ ზაფხულს უკვე სამი ახალწვეული ჰყავთ: სამირ ნასრი, აარონ რემსი და ამაური ბიშოფი.

რომას სამი კანდიდატურა

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე იტალიურ „რომას“ შემტევი ნახევარმცველის ან ფორვარდის შეძენა სურს. იტალიური პრესის ცნობით, „ჯალიროსი“ სამ კანდიდატურას განიხილავს. ესენი არიან ფლორან მალუდა („ჩელსი“), უერეში მენეზი („მონაკო“) და დავიდ სუასო („ინტერი“).

ფინანი რიგპირსაიღებ?

ინგლისური „ლივერპულის“ 32 წლის მცველი სტივ ფინანი, სავარაუდოდ, კლუბს გამოიცვლის. ირლანდიელი „ბლექბერნ როვერსი“ დაინტერესდა, რის გამოც ფეხბურთელმა „მიდლსბროსთან“ გასული ტურის მატჩი გამოტოვა.

მანუჩუ სერ ალექს ენიკლავა

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ანგოლელმა ფორვარდმა მანუჩუ ინგლისში მუშაობის უფლება მოიპოვა. ფეხბურთელი მოუთმენლად ელის, როდის მიეცემა სტადიონზე გამოსვლის საშუალება: „თამაში ძალიან მსურს. სერ ალექს ფერგიუსონს დიდი სიამოვნებით დავუნიშლავდებოდი, რომ გარკვეული რაოდენობის გოლებს გავიტანდი. საერთოდ, ბევრ რამეზე ვოცნებობ, ამჟამად კი ტრავმის რეაბილიტაციით ვარ დაკავებული და, ექიმის თქმით, 10 დღეში უკვე სრულ მზადყოფნაში ვიქნები.“

იაკობსენი გაანათხივდა

კრისტიან ლარს იაკობსენი გერმანული „ნიურნბერგიდან“ ინგლისურ „ვეერტონში“ გადაბარდა. 28 წლის დანიელმა ფეხბურთელმა „კანფეტებთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

გილიას ფასი იზრდება

მადრიდის „რეალმა“ „ვალენსიას“ დავიდ ვილიას სანაცვლოდ 47 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ „ლამურების“ პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა, რომ ესპანელი ფორვარდი არ იყიდება. აღსანიშნავია, რომ ესპანური პრესის ცნობით, „ვალენსიას“ ხელმძღვანელობაში რამდენიმე გავლენიანი პიროვნება მზად იყო, „სამეფო კლუბის“ ამ წინადადებას დათანხმებოდა.

არჩილ კობახიძე

ამ პრობლემებს მოგხიხსნით

ტრიმოლი

სხალბა, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, სხალბით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.

- სისხის დახვეწი
- ტკივილგააყუჩებელი
- ანთების საწინააღმდეგო

აჯანა ფარმა ლიმიტილი - ინდოეთი

ტრიმოლი

PSP ჩიმი მოჯანის აფთიაქი

ფარმაცეუტიკი გაცხინი: სამკურნალო საშუალებების გამოყენებას ამსრულებს.

ბაჯოს ნაამბობი



რობერტო ბაჯოს წარდგენა არ სჭირდება. მილიონობით ადამიანისთვის საყვარელი ფეხბურთელი „ლა რეპუბლიკას“ გაესაუბრა და რამდენიმე საინტერესო კომენტარს გააკეთა.

„ახლა ჩემს განრივს უკვე თავად ვაღვწე და ვგრძობ, რომ ბოლომდე თავისუფალი ვარ, რაც ძალიან მხარბებს. დიდი ხანი ვოცნებობდი, რომ საკუთარი თავის ბატონი ბოლომდე თავად ვყოფილიყავი პრეზიდენტების, ღირებულების, მწვერულების, შეხვედრებისა და ვადების გარეშე. რაც უნდა გამეკეთებინა, გაეკეთე — საკუთარი თავი მილიანად ფეხბურთის მიუძღვნე“ — თქვა რობი.

შესაძლოა, „ღვთაებრივი ცხენის-კულა“ მალე დირექტორად მოგვევლინოს. რამდენიმე კლუბი მას მწვერთვებობასაც სთავაზობს. თუმცა იგი ჯერჯერობით ჩვეულებრივი დი-მოშილიველია და ამით ძალიან კმაყოფილია.

ჩიკაგო და ბუნიოლკორი

პიტერანი ბრაზილიელი თავდასხმელი რივა-ლდო უზბეკურ „ბუნიოლკორში“ გააგრძელებს კარიერას. ახიურ კლუბს აქამდე „კურუეჩი“ ერქვა, მაგრამ სახელი გადაიკეთა და ახლა „ბუნიოლკორად“ მოიხსენიება.

„ეს გადაწყვეტილება რთული მისაღები იყო, მაგრამ ძალიან მიმზიდველი წინადადება მივიღე, რომელზეც უარის თქმა შეუძლებელი გახლდათ. აქაში ბრწყინვალე დრო გავატარე. მადლობას უნდა პრეზიდენტსა და ფანებს. თუმცა ჩემს ოჯახსა და დარჩენილ კარიერაზეც უნდა ვიფიქრო, „ბუნიოლკორის“ წინადადება ყოველმხრივ მისაღებია. დიდ ბოდიშს ვისხდი, რომ ეს ნაბიჯი ახლა გადავდგი, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სულ ცოტა ხნით ადრე და ათენელებს ჩემი შემტყვევლის პოვნა გაუჭირდებათ“ — თქვა 36 წლის რივალდომ.

ბრაზილიელი ამბობს, რომ უკვე უზბეკური კლუბის წევრია და ვეროპული სააგენტოებიც მის ტრანსფერს შემდგარს უწოდებენ. თუმცა აქაის მწვერთვების გეორგოს დონისის განცხადებით, რივალდოს გუნდთან ჯერ კიდევ კონტრაქტი აკავშირებს და ათენელები მას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუშვებენ, თუ შემტყვევლის პოვნას მოახერხებენ.

რივალდოს აქამდე „პაულისტაში“, „სანტა კრუსში“, „მოვიმირიში“, „კორინთიანსში“, „პალმეირა-

ფლიოს ჩემპიონატის ფინალში აცილებული პენალტი მიანიჭა. თუმცა თავად ფეხბურთელი უფრო მეტი სინანულით 1998 წლის მუნდიალზე მეოთხედფინალში მომავალ ჩემპიონ საფრანგეთთან დამატებულ დროში გაცულებულ მომენტს იხსენებს. ის შეხვედრა „სკუადრა აბურამ“ პენალტების სერიაში დათმო.

რობერტო ბაჯო: „ამ ეპიზოდს ვერ ვივიწყებ. ფაბიენ ბარტეში შეცდა, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ გავანანალიზე, როცა დარტყმისთვის უკვე მომზადებული ვიყავი. ოდნავ მეტხანს რომ დავფიქრებულყავი და ყველაფერი გამეაზრებინა, ნამდვილად გავიტანდი, მოვიგებდით და მერე ველარავინ შეგვარებდა“.

„პატარა ბუდამ“ „მილანზეც“ ილაპარაკა და გუნდის სატრანსფერო პოლიტიკა შეაქო. მან ტკბილი სიტყვები არც „როსონერის“ ბრაზილიელ ახალწვეულ რონალდინიოსა და „ბარსელონას“ ახალ მწვერთვულ ხოსე გვარდიოლასადმი დაიშურა.

„მილანს“ უყვარს ვარსკვლავების ყიდვა და როცა სილვიო ბერლუსკონი და ანდრიანო გალანინი რონალდინიოზე დაიწყეს ლაპარაკი, ვიცოდი, რომ საბოლოოდ ამ ტრანსფერს განახორციელებდნენ კიდევ. მათ მილიანად ბრაზილიური თავდასხმის შექმნა გადაწყვიტეს, რაც დინიოს ფორმის აღდგენისა და ძველებურად ათამაშებისკენ უბიძგებს, რადგან იგი ვერ დაუშვებს, რომ კაკა და ალემანდრე პატოს მერე გუნდის მესამე საუკეთესო ბრაზილიელი იყოს. არ ვიცი, რა მოუვიდა მას „ბარსელონაში“, მაგრამ რაღაც ნამდვილად მოხდებოდა, რადგან ფრანკ რაიკარდი, უბრალოდ, რონალდინიოს აღარ ათამაშებდა. საუბრობდნენ მასა და სამუელ ეტლოს შორის არსებულ პრობლემაზე, მაგრამ ამის არასოდეს მჯეროდა. როცა გუნდში რონალდინიო გვყავს და მას არ ათამაშებ, ესე იგი, ამის სერიოზული მიზეზი გაქვს. ახლა კატალონიელებს ჩემი მეგობარი პეპ გვარდიოლა წვრთნის. იგი ძალიან ჭკვიანი და მიზანსწრაფულია. იმედია, იმ წარმატებას მიაღწევს, რასაც იმსახურებს“ — დასძინა ბაჯომ.

გიორგი კახაბაძე



სში“, „დეპორტივოში“, „ბარსელონაში“, „მილანში“, „კრუზეიროსა“ და „ოლიმპიკოსშიც“ უთამაშა.

„ბუნიოლკორი“ კი ის კლუბია, არცთუ დიდი ხნის წინ სამუელ ეტლოს შემქნას რომ ცდილობდა. „ბარსელონას“ კამერუნელი ვარსკვლავი ტამკენტი ჩავიდა კიდევ, მაგრამ საბოლოოდ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

კობი განდელიანი

დი მარია: არგენტინის მფარველი ანგელოზი

თუ აქამდე ანხელ დე მარიას ვინმე არ იცნობდა, ოლიმპიადის მერე უდავოდ კარგად გაიცნობდა. „როსარიოს“ აღზრდილმა მარცხენა შემტევა მთელი ტურნირი დიდებულად ჩაატარა და ქომაგები თავისი დრიბლინგითა და მნიშვნელოვანი გოლების გატანის უნარით გააოცა. ფინალში არგენტინამ ნიგერიას სწორედ ბენფიკელის გოლით მოუგო. ალფიო ბასილემ კი იგი უკვე ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა



— წარმოიღვანდით, რომ ამდენს მაღწევდით, როცა ჩინეთში მიდიდით?

— მინდოდა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი მომეპოვებინა, მაგრამ ვიცოდი, ეს რომ ძალიან რთული იქნებოდა, რადგან უამრავი ბრწყინვალე ფეხბურთელი გვყავს. ვამიშროვებ, ვარჯიშებ კარგად გავისარჯე და სასტარტო თერთმეტეულშიც მოვხვდი. საოცრად ბედნიერი ვარ, რომ ყველაფერი ასე კარგად დასრულდა და ოქროს მედლები მოვიპოვეთ.

— შარშან 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ, ახლა კი ოლიმპიადა. დიდ წარმატებებს ძალიან მოკლე დროში მიაღწიეთ.

— დიას, ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. შარშან მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ. მერე, „ბენფიკაში“ გადავედი და ოლიმპიურ ნაკრებში გამოიძახეს. ახლა ფინალში გამარჯვების გოლი გავიტანე. საკმაოდ მოკლე პერიოდში უამრავი კარგი რამ მოხდა. იმედია, ეროვნულ ნაკრებთან ერთადაც დიდ წარმატებებს მივალწევ და „ბენფიკაში“ კარგი სეზონი მექნება. თავდაჯერებულობა უდავოდ შემემატა და ეს უნდა გამოვიყენო.

— როგორ ფიქრობთ, რატომ მოიგო არგენტინამ ოლიმპიადა?

— იმიტომ, რომ ჩვენ საუკეთესო ნაკრები გვყავდა. არგენტინა უმაღლესი კლასის ბრწყინვალე ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. შეკრულად, პარმონიულად ვითამაშეთ, რაც მინდორზეც გამოჩნდა. ამიტომაც ოქროს მედლები სრულიად დამსახურებულად მოვიგეთ.

— ნიგერიაამაც ძალიან კარგი

შთაბეჭდილება დატოვა.

— დიას, ნიგერიას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს — როგორც ფიზიკურად, ასევე ტექნიკურად. თუმცა ჩვენ ბრწყინვალედ ვითამაშეთ და მძიმე ბრძოლაში გავიმარჯვეთ.

— თქვენს გოლზე რას იტყვით?

— როცა დავინახე, რომ ლეო მესიმ ბურთი მიიღო, ვიცოდი, პასს მომცემდა, გავიქეცი და მეკარესთან პირისპირაც დავრჩი. ვანზეკინი ჩაიკეტა, თავიდან ძლიერად დარტყმაზე ვფიქრობდი, მაგრამ მეტოქის გოლკიპერმა კუთხე მაქსიმალურადამიკეტა და ბურთის მისთვის საგზაზე გადავდებთ გადაწყვიტე. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად გამოვიდა და გოლი ლამაზი სანახავე გამოდგა, არა?

— ფინალის მერე დიეგო არმანდო მარადონას თუ ესაუბრეთ?

— დიას. იგი გადამეხვია და მიმილოცა. ასევე მითხრა, ფანტასტიკური გოლი გავიტანე. ეს ძალიან ამალელებული იყო. ფინალში გამარჯვების გოლის გატანა, მოხეიშე მარადონას ნახვა და მისგან შექება, უბრალოდ, მეტისმეტი სიამოვნებაა.

— ამ კარგი ამბების გვირგვინი ეროვნულ ნაკრებში გამოიხატება. რას გრძობთ?

— ეს ბრწყინვალეა. ყოველთვის ვოცნებობდი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრაზე და მიზანს ნაბიჯ-ნაბიჯ მივალწევი. ოლიმპიადამ ხუხუტად ისე ჩაიარა, როგორც მინდოდა. უკეთესს ვერაფერს ვინატრებდი. ახლა მთავარია, შრომა გავაგრძელო და დავამტკიცო, რომ ეროვნულ გუნდში ადგილს ვიმსახურებ.



თორმეტი აფრიკელი
ოქროს ორი ეთიოპელი
კენენისა ბეგელეს ანგარიშზე

კონტინენტები და მედლები

კვირის რიგით 29-ე ოლიმპიური თამაშები ისტორიის კუთვნილება გახდა. 16 დღის მანძილზე მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყნის სპორტსმენები მედლების 302 კომპლექტისთვის ცილობდნენ და საბოლოო ჯამში 302 ოქროს, 303 ვერცხლის და 353 ბრინჯაოს, ანუ ჯამში 958 მედალი 88 ქვეყნის სპორტსმენზე გადანაწილდა.

ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს არათანაბარ რაოდენობას კი თავისი ახსნა აქვს. ბრინჯაოს მედლები ისედაც მეტი თამაშდება, რადგანაც ზოგიერთ, ძირითადად საბრძოლო სახეობებში (კრივი, ძიუდო, ჭიდაობა, ტაეკვანდო) ორ-ორი ბრინჯაოს მედალი გაიცემა და ამას გარდა, სხვა სახეობაშიც შეიძლება მოხდეს, რომ ორმა სპორტსმენმა აბსოლუტურად ერთნაირი შედეგი აჩვენოს. მაგალითად, მოცურავეთა შეჯიბრში, კაცთა შორის 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვისას ამერიკელმა ჯეისონ ლუზაკს და ბრაზილიელმა სეზარ ფილიომ ერთდროულად, სტარტდანი 47,67 წამის შემდეგ უწიეს ფინიშს, მესამე ადგილი გაიყვეს და ბრინჯაოს მედალი ორივე მათგანს გადაეცა.

მძლეოსნობაში კი, ქალთა შორის 100 მეტრზე სირბილში ბრინჯაო საერთოდ არ გაცემულა — ამ სახეობაში კვარცხლბეკი მთლიანად იმპროვირებულია და დაიპყრეს ჩემპიონი 10,78 წამით შეილენ ფრეზერი გახდა, ხოლო კირონ სტიურტმა და შერონ სიმსონმა 10,98 წამით მეორე ადგილი გაიყვეს და ორივე მათგანს ვერცხლის მედალი გადაეცა.

აი, ასეთი შემთხვევების გამო გვაქვს მედლების არათანაბარი ოდენობა და ამ თემაზე ლაპარაკი ამით დაევამთავროთ. იმ 88 ქვეყნიდან, რომელთა წარმომადგენლებმაც ბეჭიში, თუნდაც

ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, 38 ევროპულია ისრაელის ჩათვლით, რომელიც რავინდარა სახეობაში, სწორედ ევროპულ კონფედერაციაშია გაერთიანებული, 19 აზიის წარმომადგენს, 13 — აფრიკას, 10 — ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკას და კარიბის ზღვის აუზს, 6 — სამხრეთ ამერიკას და ორიც — ავსტრალია-ოკეანეთს.

ბუნებრივია, რომ მედლების ყველაზე დიდი ნაწილი, სწორედ ევროპელებმა მოიპოვეს — დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, რუსეთის, იტალიის, საფრანგეთის, უკრაინის, პოლანდიის, ესპანეთის, ბელარუსის, რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, ნორვეგიის, საქართველოს, ჩეხეთის, სლოვაკეთის, დანიის, შვეიცარიის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სლოვენის, ბულგარეთის, ფინეთის, ლატვიის, ბელგიის, ესტონეთის, პორტუგალიის, შვედეთის, ნორვატიის, ლიტვის, საბერძნეთის, ავსტრიის, ირლანდიის, სერბეთის, ისლანდიის, სომხეთის, ისრაელისა და მოლდოვას სპორტსმენთა ანგარიშზე, ჯამში 131 ოქროს, 147 ვერცხლის და 174 ბრინჯაოს, ანუ მთლიანად 452 მედალია.

გვრანდი მოსავალი მიიძიეს აზიელებმაც და ლომის წილი ამ საქმეში ჩინელებმა დაიდეს თავიანთი 51 ოქროს, 21 ვერცხლისა და 38 ბრინჯაოს მედლით. აზიურ ყულაბაში ბლომად მედლები ჩაახსრიანეს სამხრეთ კორეელებმა და იაპონელებმა. სპორტსმენებმაც და ნურც ყაზახებს, მონღოლებს, ტაილანდე-

ლებს, ჩრდილოეთ კორეელებს, უზბეკებს, ინდონეზიელებს, ინდოელებს, ირანელებს, ბაჰრეინელებს, ყირგიზებს, ტაჯიკებს, მალაიზიელებს, სინგაპურელებს, ვიეტნამელებს, ტაივანელებსა და ავღანელებს დაუპყარვათ გარჯას.

მესამე ადგილზე ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკა თავისი კარიბის ზღვის აუზის კუნძულებით და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენთა გარდა ამ კონტინენტს მედალოსანთა სიაში იამაიკა, კანადა, კუბა, მექსიკა, დომინიკანის რესპუბლიკა, პანამა, ტრინიდადი და ტობაგო, ბაჰამის კუნძულები და ჰოლანდიის ანტილია წარმომადგენენ.

მეოთხე ადგილზე მხოლოდ ორი ქვეყნის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სპორტსმენთა ძალისხმევით ავსტრალია-ოკეანეთი გავიდა მეზუთეზე აფრიკელები არიან, რომელთაც მედლები კენიელი, ეთიოპელი, ზიმბაბველი, კამერუნელი, ტუნისელი, ნიგერიელი, ალჟირელი, მაროკოელი, სამხრეთ აფრიკელი, სუდანელი, ეკვატორული, ტოგოელი და მავრიკეთელი სპორტსმენების ძალისხმევით მოიპოვეს. ბოლოს კი სამხრეთ ამერიკა მოდის ამ კონტინენტდანი მედლები ექვსი ქვეყნის — ბრაზილიის, არგენტინის, კოლუმბიის, ჩილეს, ეკვადორისა და ვენესუელას წარმომადგენლებს შეხვდათ.

მთლიანობაში კი, კონტინენტების მიხედვით მედალოსანთა სრული სია ასე გამოიყურება:

ევროპა	131	147	174	452
აზია	86	54	72	212
ჩრდ. და ცენტრ. ამერიკა	51	65	57	173
ავსტრალია-ოკეანეთი	17	16	22	55
აფრიკა	12	14	14	40
სამხ. ამერიკა	5	7	14	26

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009

ბანათინანიმონი (საბერძნეთი) 1:0 სპარტა (ჩეხეთი) (2:1)
1:0 სოფა (90)
ვისლა (პოლონეთი) 1:0 ბარსელონა (ესპანეთი) (0:4)
1:0 კლებერი (52)
არტმედიან (სლოვაკეთი) 1:1 იუვენტუსი (იტალია) (0:4)
1:0 ფოლდევი (13), 1:1 ამაური (25)

უეფას თასი 2008-2009

ლომომტივი (ბულგარეთი) 1:1 ბორაძი (სერბეთი) (0:1)
ნორდნიკლანდი (დანია) 2:1 ძუნი (შოტლანდია) (2:1)

ინგლისი

ლიგის თასი
იფსვიჩი 2:1 კოლჩესტერი
ბარნლი 3:0 ოლდემი
კარდიფი 2:1 დონსი
ჩალტანეში 2:3 სტოკი
ძიუნინგთონი 2:3 დ.დ. (2:2) ნიუკასლი
ძრინუ 2:1 ბრისტოლი
პრეტორი 3:1 დ.დ. (1) ვესტ ბრომვიჩი
ლიდსი 4:0 კრისტალ პალასი
პრესტონი 0:1 დერვი
ძპრ 4:0 კარლაილი
როტერჰემი 0:0 დ.დ. (4:3) ვულვზი
საუთჰემპტონი 2:0 ბირმინგემი
სუონსი 2:1 დ.დ. (1:1) ჰალი
უთფორდი 2:1 დ.დ. (1) დარლინგტონი
უიგანი 4:0 ნოტინგემი
ბოლტონი 1:2 ნორდჰემპტონი
მიდლსბრო 5:1 იოვილი
რეინინგი 5:1 ლუთონი

ფინეთი

II ლიგა
ატლანტიკი 1:2 ჰამენლინა

შოტლანდია

თასი
კოლდინგთონი 1:5 დანდი იუ.ფ.
დანდი 1:2 პარტიკი
დანფერმლინი 1:0 ალმა
ჰამილტონი 3:1 კლაიდი
ჰიბერნიანი 3:4 დ.დ. (2:2) გორტონი
ლივერპოლი 2:1 დ.დ. (1) სტ ჯონსტონი
რეინინგი 1:3 ფოლკირკი
სტ მირენი 7:0 დამბარტონი

უგანდა

ალსკენსკა
გაფუა 3:0 ჰელსინგორგი
სუპერეტა
ვისვი 0:0 ჰიკინი
ბუნაფულო 0:0 ფალკანგორგი



ბანათინანიმონი კლემენტი (წინ) და სპარტელი ირვი კლემენტი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს,
სამშაბათს, ოთხშაბათს,
ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

გამომცემელი შპს-ბ. შპს-ბ. შპს-ბ. შპს-ბ.
დირექტორი ბიორბი ბიორბი ბიორბი ბიორბი
მთავარი რედაქტორი ბიორბი ბიორბი ბიორბი ბიორბი
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალვაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქციის კაბა ინასარიძე ნუგზარ
ლოლაძე დიანა ნანობაშვილი, მიხეილ კორკოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი
პიანაშვილი ბასილაკოვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი
ალია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაყიძე,
გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი ბიორბი ბიორბი ბიორბი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მავრიაული,
ირაკლი პერტაია, გრაგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღენუაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობანი, დიდი გონალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია,
ხათუნა ბუხუნიშვილი, მკვდა დოგრაშვილი,
რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარბიელის სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
ყაზაგის გამზირი 42, II
კორპუსი, IV სართული.
საზოგადოებრივი მისამართი:
თბილისი — 79, საზოგადოებრივი
წუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbliel@gol.ge
ელექტრონული ვერსია
<http://www.sarbliel.com.ge>